



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება

GEORGIA

CHAIRMAN OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY

ORDER



ბრძანება:ბ135. 135241592

თარიღი:07/06/2024

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მაიზერ ჯაფარიძის მივლინების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის და „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის #211 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. მივლინებულ იქნას მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, მაიზერ ჯაფარიძე, ქ. **თბილისში**, შპს „ტოიოტა ცენტრში“ მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ ავტომანქანაზე გვემიური მომსახურების მიღების მიზნით, 5 (ხუთი) დღის ვადით, ა/წლის 10 ივნისიდან.
2. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაეკისროს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, ვალოდია ჭკადუას.
3. განისაზღვროს, ავტომობილ „**TOYOTA FORTUNE**“-ზე, **სახ. ნომრით: VN-950-NN** მესტია-თბილისი-მესტია მგზავრობისთვის საჭირო დიზელი 150 ლიტრით.
4. დაევალოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს უზრუნველყოს 5 (ხუთი) დღის მივლინების ხარჯის ანაზღაურება.
5. დაევალოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურს უზრუნველყოს საჭირო საწვავის შესყიდვა.
6. მიღებული ბრძანების შესახებ ეცნობოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურსა და მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს.
7. ბრძანება ამოქმედდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გაცნობისთანავე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის” 180-ე მუხლის პირველი ნაწილის და „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის” 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N-12).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

